დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსებულია – 1345.7 ათასი ლარით მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებულია – 457.8 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიების ხარჯი - 14.5 ათასი ლარით. სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია -443.3 ათასი ლარით.

მომსახურეობა კულტურის სფეროში დაფინანსებულია – 836.6 ათასი ლარით. მ/შორის: სახელოვნებო სკოლები (სამუსიკო და სამხატვრო) დაფინანსებულია - 186.3 ათასი ლარით. ბიბლიოთეკები დაფინანსებულია – 96,6 ათასი ლარით. კულტურის სახლი დაფინანსებულია – 262,7 ათასი ლარით, მუზეუმები დაფინანსებულია – 62.4 ათასი ლარით. თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრი 183.2 ათასი ლარით. საგამომცემლო საქმიანობის ხარჯი დაფინანსებულია – 45.4 ათასი ლარით.

რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა დაფინანსებულია – 51.3 ათასი ლარით. ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია – 31,6 ათასი ლარით. რელიგიური საქმიანობა დაფინანსებულია – 19.7 ათასი ლარით.

განათლების ხარჯი დაფინანსებულია – 2276.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია – 66.5 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები დაფინანსებულია – 1857.7 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია დაფინანსებულია 64.1 ათასი ლარი.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში დაფინანსებულია - 187.7 ათასი ლარით: მოსწავლე ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია - 187.7 ათასი ლარით. ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია გეგმით გათვალისწინებული 229.9 ათასი ლარის ნაცვლად საერთოდ არ დაფინანსებულა, რადგან დაფინანსება გამოიყო გვიან.

სოციალური დაცვა დაფინანსებულია – 810.4 ათასი ლარით.

კრედიტორული დავალიანება 2018 წლის ბოლოს შეადგენდა -337540 ლარს, ხოლო დებიტორული დავალიანება -1680 ლარს.

მერიის სარეზერვო ფონდი წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო -50.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად გახარჯულია - 47.6 ათასი ლარი.

2018 წელს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტმა მიიღო დაფინანსება 5403.7 ათასი ლარი, რომლითაც დაფინანსდა შემდეგი პროექტები: სოფ. ჩხარი-ძვერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 475.0 ათასი ლარით. ქ.თერჯოლაში რობაქიძის ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა დაფინანსდა 256.5 ათასი ლარი. სოფ. ჭოგნარი-ოდილაურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 209.5 ათასი ლარით. სოფელ ეწერში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 274.6 ათასი ლარით. თერჯოლა-ახალთერჯოლა-ჩხარის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 475.0 ათასი ლარით. გოდოგანი-ნაგარევი- ბროლისქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 475.0 ათასი ლარით. სოფ. რუფოთში ჭანკვეტაძეების უბანში მდებარე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 422.2 ათასი ლარით. სოფ. კახჭირში (სარბევი) სასოფლო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 127.3 ათასი ლარი; სოფ. ჭოგნარი-კვახჭირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდა 482.4 ათასი ლარი. სოფ. სიქთარვაში სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა დაფინანსდა 637.8 ათასი ლარით. სოფ. ზედა სიმონეთში წყლის სისტემის რეაბილიტაცია დაფინანსდა 415.6 ათასი

ლარით. ე. თერჯოლაში ჯაბიძის ქუჩაზე სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა დაფინანსდა 188.1 ათასი ლარით. სოფ. კვახჭირში წყლის მაგისტრალის მოწყობა დაფინანსდა 108.6 ათასი ლარით და სოფელ ბარდუბანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა დაფინანსდა 624.1 ათასი ლარით. სოფელ გოგნში საბავშვო ბაღის მშენებლობა დაფინანსდა 231.9 ათასი ლარით.

აგრეთვე თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის N1213, N1394, N2712 და N2367 განკარგულებებით, სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ მიღებული დაფინანსებიდან 2018 წელს 1839.0 ათასი ლარის ნაცვლად შესრულდა -772.9 ათასი ლარის სამუშაოები.

ადგილობრივი შემოსავლებიდან დაფინანსებულია -617.0 ათასი ლარის სამუშაოები; კერძოდ, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ორმული დამუშავება დაფინანსებულია -86.0 ათასი ლარით. მერიის უკანა მარჯვენა ფლიგელის რემონტი დაფინანსდა -21.7 ათასი ლარით. იუსტიციის სახლის ეზოს კეთილმოწყობა დაფინანსდა -66.2 ათასი ლარით. ამბულატორიების რემონტზე დაიხარჯა -11.8 ათასი ლარი. კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე დაიხარჯა -28.5 ათასი ლარი. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, ასევე მიმდინარე პროექტების თანადაფინანსების და ზედამხედველობის თანხები დაფინანსებულია -402.8 ათასი ლარით.

2019 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შეადგენს 20647.0 ათას ლარს, მათ შორის გადასახადები 9148.1 ათასი ლარი, გრანტები 6492.3 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 1013.9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 175.0 ათასი ლარი. 2018 წლის ბოლოს დაგროვილი ნაშთი შეადგენს 3817.7 ათას ლარს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2019 წლის გადასახდელების საგასავლო ნაწილი დაფინანსება – 20647.0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2019 წლის გადასახდელების საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა დაფინანსდება -3175.9 ათასი ლარით.

თავდაცვის ხარჯები დაფინანსდება – 125.0 ათასი ლარით.

ეკონომიკური საქმიანობა დაფინანსდება - 5106.2 ათასი ლარით.

გარემოს დაცვა (თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური) დაფინანსდება -1395.0 ათასი ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობა დაფინანსდება – 4224.6 ათასი ლარით: კომუნალური მეურნეობის განვითარება – 1292.7 ათასი ლარით. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაფინანსდება – 1991.9 ათასი ლარით. გარე განათება დაფინანსდება – 250.0 ათასი ლარით. სხვა არაკლასიფიცირებული სამუშაოები(სოფლის პროგრამები) დაფინანსდება 690,0 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდება - 251.6 ათასი ლარით . საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდება – 95.0 ათასი ლარით. ამბულატორიები დაფინანსდება – 156.6 ათასი ლარით.

დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსდება - 1359.0 ათასი ლარით:

მომსახურეობა დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსდება – 475.0 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიების ხარჯი - 30.0 ათასი ლარით. სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი დაფინანსდება -445.0 ათასი ლარით.

მომსახურეობა კულტურის სფეროში დაფინანსდება – 826.0 ათასი ლარით. მ/შორის: სახელოვნებო სკოლები (სამუსიკო და სამხატვრო) დაფინანსდება - 180.0 ათასი ლარით. ბიბლიოთეკები დაფინანსდება – 97.0 ათასი ლარით. კულტურის სახლი დაფინანსდება – 260.0 ათასი ლარით, მუზეუმები დაფინანსდება – 60.0 ათასი ლარით. თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრი დაფინანსდება 184.0 ათასი ლარით. საგამომცემლო საქმიანობის ხარჯი დაფინანსდება – 45.0 ათასი ლარით.

რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა დაფინანსდება – 55.0 ათასი ლარით. ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსდება – 35.0 ათასი ლარით. რელიგიური საქმიანობა დაფინანსდება – 20.0 ათასი ლარით.

განათლების ხარჯი დაფინანსდება – 44136.7 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსდება – 81.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები დაფინანსდება – 2230.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია დაფინანსდება 212.6 ათასი ლარით.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში დაფინანსდება - 1613.1 ათასი ლარით: მოსწავლე ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსდება - 195.0 ათასი ლარით. ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დაფინანსდება 1418.1 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა დაფინანსდება – 876.0 ათასი ლარით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის N1213, N1394, N2712, N2367 და N986 განკარგულებებით, სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ მიღებული დაფინანსებიდან 2019 წელს შესრულდება 1106.1 ათასი ლარის სამუშაოები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციისათვის 2019 წელს დაიხარჯება - 796.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ გამოყოფილი დაფინანსებიდან მიმდინარე წელს შესრულდება 1490.8 ათასი ლარის

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ 2019 წელში გამოყოფილი აქვს დაფინანსება - 4273.5 ათასი ლარი. აქედან: სოფ. ჩხარი-ძვერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება -210.1 ათასი ლარით. თერჯოლა-ახალთერჯოლა-ჩხარის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება -460.2 ათასი ლარით. გოდოგანი-ნაგარევი-ბროლისქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება - 639.0 ათასი ლარით. სოფელ ბარდუბანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა დაფინანსდება -794.0 ათასი ლარით. სოფელ ძვერის ცენტრის კეთილმოწყობა დაფინანსდება 457.0 ათასი ლარით.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა დაფინანსდება 221.3 ათასი ლარით. სოფელ ქვედა სიმონეთში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 509.0 ათასი ლარით. სოფ. ნახშირღელეში ნიკოლაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 400.0 ათასი ლარით. სოფელ ვარდიგორა-ჯგილათის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 450.0 ათასი ლარით და სოფელ ძევის ცენტრის კეთილმოწყობის მე-2 ეტაპი დაფინანსდება 133.0 ათასი ლარით

სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე მიმდინარე წელს გამოყოფილია 690.0 ათასი ლარი.

სოფლის ამბულატორიების რემონტზე გამოყოფილია 130.0 ათასი ლარი.

ადგილობრივი შემოსავლებიდან არაფინანსური აქტივების ზრდა დაფინანსდება - 1920.6 ათასი ლარით; კერძოდ, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ორმული დამუშავება დაფინანსდება -100.0 ათასი ლარით, მერიის რემონტი დაფინანსდება -5.0 ათასი ლარით, ამბულატორიების დაფინანსებაზე დაიხარჯება -12.0 ათასი ლარი, კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე დაიხარჯა -15.0 ათასი ლარი. სოფელ ალისუბანში წყლის ჭაბურღილის მოწყობისათვის გამოყოფილია 60.0 ათასი ლარი. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, ასევე მიმდინარე პროექტების თანადაფინანსება და ზედამხედველობა დაფინანსდება - 1728.6 ათასი ლარით.

## 2019 წლის ბიუჯეტის ათი თვის შესრულების ინფორმაცია

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2018 წლის 24 დეკემბრის N48 დადგენილებით 10210.0 ათასი ლარის ოდენობით.

2019 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 3817.7 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 1229.7 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 2588.0 ათას ლარს.

2019 წლის ათ თვეში ბიუჯეტის ცვლილება 10-ჯერ განხორციელდა და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 20647.0 ათასი ლარით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა			2019 წლის იანვარ-ოქტომბერი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები

შემოსავლები	15 257,6	5 609,0	9 648,6	16 654,3	6 492,3	10 162,0	14 653,3	5 591,7	9 061,6
გადასახადები	2 511,3	0,0	2 511,3	9 148,1	0,0	9 148,1	8 316,8	0,0	8 316,8
გრანტები	11 897,6	5 609,0	6 288,6	6 492,3	6 492,3	0,0	5 591,7	5 591,7	0,0
სხვა შემოსავლები	848,7	0,0	848,7	1 013,9	0,0	1 013,9	744,8	0,0	744,8
ხარჯები	8 991,2	160,0	8 831,2	10 423,5	931,3	9 492,2	7 913,6	599,2	7 314,4
შრომის ანაზღაურება	1 953,5	73,1	1 880,4	2 029,0	79,0	1 950,0	1 589,9	78,3	1 511,6
საქონელი და მომსახურება	1 032,5	9,7	1 022,8	2 033,7	641,9	1 391,8	1 291,2	408,5	882,7
პროცენტი	53,2	0,0	53,2	29,1	0,0	29,1	29,1	0,0	29,1
სუბსიდიები	4 865,2	76,0	4 789,2	5 160,5	69,0	5 091,5	4 143,4	64,8	4 078,6
გრანტები	0,7	0,0	0,7	6,0	0,0	6,0	5,8	0,0	5,8
სოციალური უზრუნველყოფა	835,9	1,2	834,7	877,0	1,0	876,0	678,5	0,0	678,5
სხვა ხარჯები	250,2	0,0	250,2	288,2	140,4	147,8	175,7	47,6	128,1
საოპერაციო სალდო	6 266,4	5 449,0	817,4	6 230,8	5 561,0	669,8	6 739,7	4 992,5	1 747,2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5 492,7	4 944,4	548,3	10 019,5	8 149,0	1 870,5	7 653,2	6 991,7	661,5
ზრდა	5 588,2	4 944,4	643,8	10 194,5	8 149,0	2 045,5	7 835,7	6 991,7	844,0
კლება	95,5	0,0	95,5	175,0	0,0	175,0	182,5	0,0	182,5
ზრდა	773,7	504,6	269,1	0,0	0,0	0,0	1 056,7	0,0	1 056,7
ვალუტა და დეპოზიტები	773,7	504,6	269,1	0,0			1 056,7		1 056,7
კლება	0,0	0,0	0,0	3 817,7	2 588,0	1 229,7	1 999,2	1 999,2	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0			3 817,7	2 588,0	1 229,7	1 999,2	1 999,2	
კლება	0,0	0,0	0,0	29,0	0,0	29,0	29,0	0,0	29,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	29,0	0,0	29,0	29,0	0,0	29,0
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	3 042,8	2 083,4	959,4	3 817,7	2 588,0	1 229,7	3 817,7	2 588,0	1 229,7
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	3 817,7	2 588,0	1 229,7	0,000	0,0	0,0	2 875,2	588,8	2 286,4
ნაშთის ცვლილება	773,7	504,6	269,1	-3817,7	-2588,0	-1229,7	-942,5	-1999,2	1056,7

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ათი თვის შემოსულობების ანალიზი



თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ათი თვის ფაქტიურმა შემოსავლებმა 18653.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის (20647.0 ათასი ლარი) 90,3%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ათი თვის ფაქტიურ შემოსავლებში (18653.5 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 8316.8 ათას ლარს, ანუ 44,6 %-ს შეადგენს. არასაგადასახადო (სხვა) შემოსავლების ხვედრითი წილი 744.8 ათას ლარს, ანუ 4,0 %-ს. გრანტების სახით მიღებული შემოსავლები 5591.7 ათას ლარს, ანუ 30,0 %-ს. არაფინანსური აქტივების კლებიდან ჩარიცხულია 182.5 ათასი ლარი.

ფაქტიური შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, რომ 2019 წლის ათ თვეში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავლებიდან მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი 8316.8 ათასი ლარი (44,6%) საგადასახადო შემოსავლებს უჭირავს. მათ შორის: ქონების გადასახადის სახით ჩარიცხულია 1653.0 ათასი ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადის სახით - 6663.8 ათასი ლარი, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით ჩარიცხულია 754.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმიური მოცულობის (1311.2 ათასი ლარი) 57,6 %-ია. სახელმწიფო ფონდებიდან ტრანსფერების სახით შემოსავლები ბიუჯეტში ჩარიცხულია 4837.5 ათასი ლარის ოდენობით. წლიური გეგმიური მაჩვენებელი ამ სახით გათვალისწინებულია 5181.1 ათასი ლარით.

თავის მხრივ, სახელმწიფო ფონდებიდან მისაღები ტრანსფერები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განსაზღვრულია „რეგიონში განსახორციელებელ პროექტებზე“- 4451.1 ათასი ლარით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე- 690.0 ათასი ლარი და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებზე 40.0 ათასი ლარი.

2019 წლის ათ თვეში ბიუჯეტში საკუთარი (საგადასახადო და არასაგადასახადო) შემოსავლები განსაზღვრული იყო -7636.6 ათასი ლარით, ფაქტიურმა მაჩვენებელმა 9244.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც 1607.5 ათასი ლარით აღემატება გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

საკუთარ შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლების გეგმა შეადგენდა 6736.9 ათას ლარს, რომელიც ნაწილდება სანარმოთა ქონების გადასახადზე (1150.0 ათასი ლარი), მიწის გადასახადზე (33.5 ათასი ლარი) და დამატებული ღირებულების გადასახადზე (5553.4 ათასი ლარი).

ათ თვეში არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა-დავალება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 724.7 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 744.8 ათასი ლარი, რაც 20.1 ათასი ლარით აღემატება დაგეგმილს.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლების სახით ჩარიცხულია 182.5 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ათი თვის შემოსავლების შესრულება გადასახადების ცალკეული სახეების მიხედვით ასეთია:

ა) საქ. სანარმოთა ქონება (გარდა მიწისა) შესრულდა 149,9%-ით (გეგმა -1150.0 ათ. ლარი, ფაქტი 1724.3 ათ. ლარი).

ბ) ფიზიკურ პირთა ქონება -0,0%-ით ((გეგმა 0.0 ათ. ლარი, ფაქტი-(-0.0 ათ. ლარი)).

გ) სასოფლო მიწაზე გადასახადი -103,4%-ით (გეგმა - 14.5 ათასი ლარი, ფაქტი 15.0 ათასი ლარი).

დ) არასასოფლო მიწაზე გადასახადი -101,6%-ით (გეგმა 19.0 ათასი ლარი, ფაქტი - 19.3 ათასი ლარი).

ე) დამატებული ღირებულების გადასახადი -120,0%-ით (გეგმა 5553.4 ათასი ლარი, ფაქტი - 6663.8 ათასი ლარი).

ვ) დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები -101,8 %-ით (გეგმა-100.0 ათ. ლარი, ფაქტი- 101.8 ათ. ლარი).

ზ) მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის -100,6 %-ით (გეგმა - 223.0 ათასი ლარი, ფაქტი - 224.5 ათასი ლარი).

თ) ჯარიმები, სანქციები , საურავები - 101,2%-ით (გეგმა -220.0 ათასი ლარი, ფაქტი - 222.7 ათასი ლარი).

ი) სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავლები - 108,1%-ით (გეგმა - 349.8 ათასი ლარი, ფაქტი -378.3 ათასი ლარი).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ათი თვის ფაქტიური შემოსულობები:

N	დასახელება	ფაქტიური მაჩვენებელი (ათას ლარებში)	ხვედრიანი წილი (%-ში)
1.	შემოსავლები სულ მათ შორის:	14653.3	78,6
ა)	საგადასახადო შემოსავლები	8316.8	44,5
ბ)	გრანტები	5591.7	30,0
გ)	სხვა შემოსავლები	744.8	4,0
2.	არათფინანსური აქტივების კლება	182.5	1,0
3.	ნაშთი	3817.7	20,4
	სულ შემოსულობები	18653.5	100,0

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ათი თვის  
გადასახდელების ანალიზი**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ათი თვის გადასახდელების გეგმა შეადგენს 15778.3 ათას ლარს, ფაქტიურად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი დაფინანსებულია – 15778.3 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია 100,0%-ით.

N	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	ფაქტიური მაჩვენებელი	ხვედრიანი წილი (%-ში)
	სულ	15778.3	100,0
1	ხარჯები	7913.6	50,2
1.1	შრომის ანაზღაურება	1589.9	20,1
1.2	საქონელი და მომსახურება	1291.2	16,3
1.3	პროცენტი	29.1	0,4
1.4	სუბსიდიები	4143.4	52,4
1.5	გრანტი	5.8	0,1
1.6	სოციალური უზრუნველყოფა	678.5	8,5
1.7	სხვა ხარჯი	175.7	2,2
2	არაფინანსური აქტივები	7835.4	49,8

მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ათი თვის გადასახდელების საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა დაფინანსებულია – 100,0 %-ით, ანუ -2365.5 ათასი ლარით (გეგმა - 2365.5 ათასი ლარი; ფაქტი -2365.5 ათასი ლარი). მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადანაცვებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 46.0 ათასი ლარით (საფეხბურთო კლუბ „საპოვნელას“ ყოფილი ფეხბურთელების სახელფასო დავალიანებები).

თავდაცვის ხარჯები დაფინანსებულია -95.2 ათასი ლარით (გეგმა - 95.2 ათასი ლარი; ფაქტი -95.2 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია 100,0 %-ით.

ეკონომიკური საქმიანობა დაფინანსებულია - 3945.4 ათასი ლარით (გეგმა -3945.4 ათასი ლარი, ფაქტი -3945.4 ათასი ლარი) გეგმა შესრულებულია - 100,0 %-ით.

გარემოს დაცვა (თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური) დაფინანსებულია -1052.4 ათასი ლარით (გეგმა - 1052.4 ათასი ლარი; ფაქტი - 1052.4 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

საბინაო კომუნალური მეურნეობა დაფინანსებულია - 3125.2 ათასი ლარით, გეგმა შესრულებულია 100,0%-ით (გეგმა - 3125.2 ათასი ლარი; ფაქტი - 3125.2 ათასი ლარი). მათ შორის:

კომუნალური მეურნეობის განვითარება - 546.6 ათასი ლარით (გეგმა - 546.6 ათასი ლარი; ფაქტი -546.6 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაფინანსებულია – 1770.6 ათასი ლარით (გეგმა - 1770.6 ათასი ლარი; ფაქტი - 1770.6 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 % ით.

გარე განათება დაფინანსებულია – 163.3 ათასი ლარით (გეგმა – 163.3 ათასი ლარი; ფაქტი – 163.3 ათასი ლარი).

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში (სოფლის განვითარების პროგრამები) დაფინანსებულია 644.7 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია – 176.3 ათასი ლარით (გეგმა –176.3 ათასი ლარი; ფაქტი – 176.3 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 %-ით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობა დაფინანსებულია – 69.6 ათასი ლარით (გეგმა – 69.6 ათასი ლარი; ფაქტი -69.6 ათასი ლარი).

ამბულატორიები დაფინანსებულია – 106.7 ათასი ლარით (გეგმა – 106.7 ათასი ლარი; ფაქტი -106.7 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსებულია – 1070.9 ათასი ლარით (გეგმა – 1070.9 ათასი ლარი; ფაქტი –1070.9 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

მომსახურეობა დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებულია – 357.4 ათასი ლარით (გეგმა –357.4 ათასი ლარი; ფაქტი 357.4 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 პროცენტით. სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია - 347.7 ათასი ლარით, ხოლო სპორტლონისძიებები დაფინანსებულია 9.7 ათასი ლარით.

მომსახურეობა კულტურის სფეროში დაფინანსებულია – 678.7 ათასი ლარით (გეგმა – 678.7 ათასი ლარი; ფაქტი –678.7 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 %-ით. მ/შორის: სახელოვნებო სკოლები (სამუსიკო და სამხატვრო) დაფინანსებულია - 155.8 ათასი ლარით. ბიბლიოთეკები დაფინანსებულია – 78.2 ათასი ლარით, კულტურის სახლი დაფინანსებულია – 210.4 ათასი ლარით, მუზეუმები დაფინანსებულია – 45.5 ათასი ლარით, თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრი 151.3 ათასი ლარით. საგამომცემლო საქმიანობის ხარჯი დაფინანსებულია – 37.5 ათასი ლარით.

რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა დაფინანსებულია – 34.8 ათასი ლარით (გეგმა – 34.8 ათასი ლარი; ფაქტი –34.8 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 %-ით. ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია – 23.4 ათასი ლარით და რელიგიური საქმიანობა 11.4 ათასი ლარით.

განათლების ხარჯი დაფინანსებულია – 3265.0 ათასი ლარით (გეგმა – 3265.0 ათასი ლარი; ფაქტი - 3265.0 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 %-ით.

სკოლამდელი აღზრდა დაფინანსებულია 2016.5 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია – 66.2 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები დაფინანსებულია – 1747.76 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია დაფინანსებულია 202.5 ათასი ლარით.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში დაფინანსებულია – 1248.5 ათასი ლარით (გეგმა - 1248.5 ათასი ლარი; ფაქტი – 1248.5 ათასი ლარი) მოსწავლე ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი

დაფინანსებულია - 154.5 ათასი ლარით და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დაფინანსებულია 1094.1 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა დაფინანსებულია - 682.4 ათასი ლარით (გეგმა - 682.4 ათასი ლარი; ფაქტი - 682.4 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი წლიური გეგმით გათვალისწინებულია -50.0 ათასი ლარი. მიმდინარე პერიოდში კი გახარჯულია 2.7 ათასი ლარი.

კრედიტორული დავალიანება შეადგენს - 416885 ლარს, ხოლო დებიტორული დავალიანება -2502 ლარს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის N1213, N1394, N2712, N2367 და N986 განკარგულებებით, სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ მიღებული დაფინანსებიდან მიმდინარე წელს შესრულდება 1106.1 ათასი ლარის სამუშაოები, რომლიდანაც უკვე შესრულებულია 620.8 ათასი ლარის სამუშაოები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციისათვის 2018 წელს გამოყოფილია -223.9 ათასი ლარი და მიმდინარეობს სამუშაოები, უკვე შესრულებულია 185.9 ათ. ლარის სამუშაოები.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ გამოყოფილი დაფინანსებიდან მიმდინარე წელს შესრულდება 1490.8 ათასი ლარის სამუშაოები. სოფ. ჩხარი-ძევრის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე შესრულდა -192.3 ათასი ლარის სამუშაოები, ჭოგნარი-კვახჭირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე შესრულდა -300.7 ათასი ლარის სამუშაოები, სოფ. სიქთარვაში სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობაზე შესრულდა -306.3 ათასი ლარის სამუშაოები, სოფელ ბარდუბანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობაზე შესრულდება -506.0 ათასი ლარის სამუშაოები, უკვე შესრულებულია 475.2 ათ. ლარის სამუშაოები. სოფელ გოგნში საბავშვო ბაღის მშენებლობა დაფინანსებულია - 185.5 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ 2019 წელში გამოყოფილი აქვს დაფინანსება -4273.5 ათასი ლარი. აქედან: სოფ. ჩხარი-ძევრის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება -210.1 ათასი ლარით, უკვე შესრულებულია 200.7 ათასი ლარის სამუშაოები. თერჯოლა-ახალთერჯოლა-ჩხარის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება -460.2 ათასი ლარით, უკვე შესრულებულია 459.8 ათასი ლარის სამუშაოები. გოდოგანი-ნაგარევი-ბროლისქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსებულია - 639.0 ათასი ლარით, უკვე შესრულებულია 635.9 ათასი ლარის სამუშაოები. სოფელ ბარდუბანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა დაფინანსდება -794.0 ათასი ლარით, სამუშაოები დასრულებულია და დაფინანსებულია 791.3 ათასი ლარი. სოფელ ძევრის ცენტრის კეთილმოწყობა დაფინანსდება 457.0 ათასი ლარით და უკვე შესრულებულია 358.5 ათასი ლარის სამუშაოები. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა დაფინანსდება 221.3 ათასი ლარით და უკვე შესრულებულია 78.1 ათ. ლარის სამუშაოები. სოფელ ქვედა სიმონეთში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 509.0 ათასი ლარით და უკვე შესრულებულია 509.0 ათასი ლარის სამუშაოები. სოფ. ნახშირღელეში ნიკოლაძეების უბანში საავტომობილო გზის

რეაბილიტაცია დაფინანსდება 400.0 ათასი ლარით და უკვე შესრულებულია 79.8 ათასი ლარის სამუშაოები. სოფელ ვარდიგორა-ჯვილათის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 450.0 ათასი ლარით, უკვე შესრულებულია 444.2 ათ. ლარის სამუშაოები და სოფელ ძეგრის ცენტრის კეთილმოწყობის მე-2 ეტაპი დაფინანსდება 133.0 ათასი ლარით

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის 2019 წელს გამოყოფილია 530.0 ათასი ლარი და უკვე შესრულებულია 503.0 ათასი ლარის სამუშაოები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე მიმდინარე წელს გამოყოფილია 690.0 ათასი ლარი, უკვე გახარჯულია 644.7 ათასი ლარი.

სოფლის ამბულატორიების რემონტზე გამოყოფილია 129.6 ათასი ლარი და უკვე შესრულებულია 92.5 ათასი ლარის სამუშაოები.

ადგილობრივი შემოსავლებიდან არაფინანსური აქტივების ზრდა დაფინანსდება - 2061.3 ათასი ლარით; კერძოდ, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ორმული დამუშავება დაფინანსდება -100.0 ათასი ლარით, მერიის რემონტი დაფინანსდება -5.0 ათასი ლარით, ამბულატორიების დაფინანსებაზე დაიხარჯება -12.0 ათასი ლარი, კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე დაიხარჯა -15.0 ათასი ლარი. სოფელ ალისუბანში წყლის ჭაბურღილის მოწყობისათვის გამოყოფილია 60.0 ათასი ლარი და უკვე შესრულებულია 54.0 ათასი ლარის სამუშაოები. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, ასევე მიმდინარე პროექტების თანადაფინანსება და ზედამხედველობა დაფინანსდება -1644.3 ათასი ლარით. ხოლო, მიმდინარე პერიოდში დაფინანსებულია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, ასევე მიმდინარე პროექტების თანადაფინანსება და ზედამხედველობა 845.3 ათასი ლარით.

### **თავი III. თერჯოლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში**

#### **შესავალი**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის, ასევე 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და ამ დანართის შემუშავება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია, სხვა მეთოდურ მითითებებთან ერთად, განსაზღვრას საქართველოს სახელმწიფო, ავტონომური და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების შედგენის ფორმატს, ბიუჯეტის სტრუქტურას, დანართებს და ინფორმაციის ჩამონათვალს თუ რას უნდა მოიცავდეს წლიური ბიუჯეტის პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია.

2018 წელს დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ფორმატი ბიუჯეტის შედგენა მუნიციპალიტეტისათვის სავალდებულო ხდება 2019 წლიდან, 2020

წლის ბიუჯეტის მომზადებისთვის. შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავდა და ახლებურად არის წარმოდგენილი 2020 წლის ბიუჯეტის ფორმატი, შეიცვალა პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი. წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტის დანართიც სწორედ ახალი მეთოდოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად არის შემუშავებული.

პროგრამულ დანართში, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტისაგან განსხვავებით, მოცემულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები. მასში წარმოდგენილია ის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელთა დაფინანსებასაც ითვალისწინებს 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი. პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა და ასიგნებების საპროგნოზო მოცულობები წარმოდგენილია მომავალ 3 წელზე, ხოლო მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები ხშირ შემთხვევებში მოიცავს მხოლოდ 2020 წელს (როგორც პილოტური პროექტი). შემდგომ წლებში, ისევე როგორც პროგრამების აღწერა და მიზანი, ასევე მოსალოდნელი შედეგებიც და შედეგების შეფასების ინდიკატორები კიდევ უფრო მეტად დაიხვეწება და წარმოდგენილი იქნება დასაგეგმი და სადაგეგმის შემდგომ 3 წელზე.

### ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	2 045,0	9 280,8	2323,2	1 633,6	2 312,2	3 041,7
02 01	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	-	5 106,2	1410,4	450,0	500,0	600,0
02 02	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 691,1	1 991,9	110,0	140,0	352,0	523,0
02 03	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	197,9	250,0	250,0	250,0	250,0	250,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	156,0	1 242,7	212,8	293,6	660,2	1 068,7
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	-	690,0	-	-	-	-
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა დასაპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	-	-	340,0	500,0	550,0	600,0

პროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	დაფინანსება	
			2020 წელი ათას ლარში	2021-2023 წელი ათას ლარში
			1410,4	1550,0
პროგრამის განმახორციელებელი	02 01	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა		საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას; სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტს 2020 წელს გამოეყოფა გზების რეაბილიტაციისათვის დაფინანსება 1190,4 ათასი ლარი. მათ შორის: სოფელ ქვედა სიმონეთში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 444,2 ათასი ლარით. სოფ. ნახშირღელეში ნიკოლაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 150,1 ათასი ლარით და სოფ. ვარდიგორა-ჯვილათის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 596,1 ათასი ლარით.		
მოსალოდნელი შედეგი		ქ. თერჯოლაში ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება (ორმული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას. 2020 წელს რეაბილიტირებული გზებით ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ თერჯოლის და სოფლების მოსახლეობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	დაფინანსება	
			2020 წელი ათას ლარში	2021-2023 წელი ათას ლარში
			110,0	1015,0
პროგრამის განმახორციელებელი	02 02	ა(ა)პ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ; სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა		ქალაქ თერჯოლის გარდა 18 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება წლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის განმეინდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილია წყლის ტუმბო და გენერატორი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: - მწიბრიდან გამოსული წყლის მიღების შეკეთება და გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შექმნა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 1 საშტატო ერთეული და 4 შტატგარეშე თანამშრომლის პრომის ანაზღაურების ხარჯები შინაარსის ტიპის მიხედვით წყლის სისტემების ექსპლუატაციის ქვეპროგრამა მიეკუთვნება მომსახურების მიწოდების ტიპის ქვეპროგრამას, პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სისტემის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.		
მოსალოდნელი შედეგი		მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგება. უწყვეტი წყალმომარაგებით მოსარგებლე ოჯახების ზრდა.		



პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	დაფინანსება	
			2020 წელი ათას ლარში	2021-2023 წელი ათას ლარში
			250,0	750,0
პროგრამის განმახორციელებელი	02 03	სივრცითი მონაცემების, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური. ა(ა)იპ -თერჯოლის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ; საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
პროგრამის აღწერა		<p>ლამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. თერჯოლაში და 18 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. გარე განათების სისტემა მოიცავს 3022-ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 3392-ზე მეტ სანათ წერტილს, 56400 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 120,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.</p> <p>პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია; რეაბილიტაციას</li> <li>- კაპიტალური დაბანდები გარე განათების სფეროში.</li> </ul> <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას).</p> <p>ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.</p> <p>2020 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი		გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მონაცემილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად. ფეხით-მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხო გადაადგილება დღე-ღამის ნებისმიერ დროს		

პროგრამის დასახელება	კოდი	კომუნალური მეურნეობის განვითარება	დაფინანსება	
			2020 წელი ათას ლარში	2021-2023 წელი ათას ლარში
			212,8	2022,5
პროგრამის განმახორციელებელი	02 04	სივრცითი მონაცემების, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
პროგრამის აღწერა		<p>მუნიციპალიტეტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.</p> <p>ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დანიშნულების შენობების სხვადასხვა სახის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი		კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა დასაპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	დაფინანსება	
			2020 წელი ათას ლარში	2021-2023 წელი ათას ლარში
			340,0	1650,0
პროგრამის განმახორციელებელი	02 06	სივრცითი მონაცემების, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახური.		
